გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის 2020 წლის 15 ივნისის სხდომის ოქმი N101

(ამონაწერი)

2020 წლის 15 ივნისი, 16:00 საათი
ქ. თბილისი, რუსთაველის N8
პირველი რესპუბლიკის სახელობის დარბაზი
(C კორპუსი, III სართული)

სხდომას ესწრებოდნენ: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე ნინო წილოსანი - სხდომის თავმჯდომარე; კომიტეტის წევრები: ზაზა ხუციშვილი, ენძელა მაჭავარიანი, ოთარ დანელია, გიორგი გაჩეჩილაძე, სულხან მახათაძე, კობა ლურსმანაშვილი (უფლებამონაცვლე - გურამ მაჭარაშვილი), ემზარ კვიციანი, პაატა გოგოხია, აკაკი ბობოხიძე;

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ნინო თანდილაშვილი;
კომიტეტის აპარატის უფროსი: გიორგი ცხვედიანი;
კომიტეტის აპარატის წამყვანი სპეციალისტები: ფიქრია რობაქიძე, მანანა მოსიძე, ელისო შანავა.

დღის წესრიგი: საქართველოს კანონის პროექტი „ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მოისმინეს: ნინო წილოსანის ინფორმაცია. აღნიშნა, რომ იქმნება არაგვის დაცული ლანდშაფტი, რომლის ტერიტორიაც მოიცავს ფშავ-ხევსურეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის ნაწილს კერძოდ სოფლებს უკანაფშავი (ჭალახევი), უკანაფშავი (ვაკის სოფელი), ორბეულთა, ხორიელი, ხოშარა, აყნელი, მისახი, ხიტალე, ბაცალიგო, ჩხუბა, უკანაფშავი (ელიაგზა), უკანხადუ, კარწაულთა, აჭე, ხახმატი, ბისო, ატაბე, წინხადუ (ზეისტეჩო), წინხადუ, უსტამალე, კეო, ბარისახო, ბოქჩვილო, ჭალისოფელი, ბლო. "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის 1[1] მუხლის თანახმად მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია – შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების VI კატეგორიას, ხოლო დაცული ლანდშაფტი კი შეესატყვისება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების V კატეგორიას. შესაბამისად არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნით ხდება "ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ფშავ-ხევსურეთის მრავალმხრივი გამოყენების (დამხმარე ზონა) ტერიტორიაზე მდებარე სოფლებისათვის დაცული ტერიტორიის უფროს მაღალი კატეგორიის მინიჭება.

კენჭისყრის შედეგად კომიტეტმა გადაწყვიტა (ერთხმად):

კომიტეტი მხარს უჭერს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მიერ მომზადებული კანონის პროექტის „ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ინიცირებას.

საკანონმდებლო პროცედურის დაწყების მიზნით საქართველოს პარლამენტის ბიუროს წარედგინოს „ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონის პროექტი.

სხდომის თავმჯდომარე ნინო წილოსანი